ურთიერთშეთანხმება

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროსა და შპს „რომპეტროლ საქართველო“ -ს შორის
2016 წლის 20 დეკემბრის №01 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

30 იანვარი 2017 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო, მის.: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30 წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის გიორგი ბესტავაშვილის სახით, (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ შპს „რომპეტროლ საქართველო“ მის.: ქ.თბილისი, ვეკუას ქ.3; (შემდგომში -„მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კაირატ კაბილოვის სახით, სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროსა და შპს „რომპეტროლ საქართველო“-ს შორის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით (**CON150000057**) 2016 წლის 20 დეკემბერს დადებული №01 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების 8.1 პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1.

1. შევიდეს ცვლილება 2016 წლის 20 დეკემბრის №01 ხელშეკრულებაში:

ა) ხელშეკრულების 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი: ბენზინი - Efix Euro Premium, რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 12240 ლიტრს.

ბ) ხელშეკრულების 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 18115.20 (თვრამეტი ათას ას თხუთმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს;

დ) 2016 წლის 20 დეკემბრის №01 ხელშეკრულების დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

მუხლი 2.

1. წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.
2. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 20 დეკემბრის №01 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

მუხლი 3.

1. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აქვთ კანონმდებლობით მინიჭებული უფლება, ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით დადონ წინამდებარე დამატებითი შეთანხმება.

2. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

3. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს
დირექტორის მოადგილე

გიორგი ბესტავაშვილი

შპს „რომპეტროლ საქართველ
გენერალური დირექტ

კაირატ კაბილოვ

2016 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება №01

დანართი №1

ქ. თბილისი

30 იანვარი 2017 წელი

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთ. ფასი (ლარი)	საორიენტაციო საერთო ღირებულება (ფასი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
Efix Euro Premium	RON 95	12240	1.48 ლარი	18115.20 ლარი	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	01.01.2017-დან 31.12.2017-მდე

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს

დირექტორის მოადგილე

გიორგი ბესტვაშვილი

შპს „რომპეტროლ საქართველო"-ს

გენერალური დირექტორი

კაირატ კაბილოვი